ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №270

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 03. ივლისი 2015 წ.

ერთის მხრივ ***თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი,*** *მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ.№5, საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961* (შემდგომში „შემსყიდველი"), *წარმოდგენილი გამგებლის დიმიტრი ყიფიანის სახით*

და მეორეს მხრივ ***შპს "სან მოტორსი",*** *ქ. ახალციხე, ასპინძის ქ. №42/6,* (შემდგომში „მიმწოდებელი") *საიდენტიფიკაციო კოდი 424067958, წარმოდგენილი დირექტორის შალვა ვარდიძის სახით*

მათ შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ავტომანქანის შეკეთების მომსახურება (cpv 50110000)

(საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის, თ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს ***1000*** *(ერთი ათასი)* ***ლარი 00 თეთრი*** (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი")

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარუდგენს მიმწოდებელს სატრანსპორტო საშუალებას/საშუალებებს, ხოლო მიმწოდებელი ახდენს სატრანსპორტო საშუალების შეკეთებას შეთანხმებული მოცულობითა და რაოდენობით შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

ავტომანქანა "შკოდა ოქტავია", გამოშვების წელი 2010, სახ. ნომერი FFT 897, მომსახურების გაწევის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიღება-ჩაბარება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების შესაბამისად წარმოდგენილი შესრულების აქტის საფუძველზე.

4.2 შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ დადგენილი ფასების შესაბამისად. სამუშაოების საერთო ღირებულება შეიძლება მოიცავდეს როგორც მომსახურების, ისე სათადარიგო ნაწილების ღირებულებას.

5.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2 წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძოდ, დაკვეთის ვადის გადაცდენისათვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____

არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 მხარეები უარს აცხადებენ დავის გაგრძელებაზე სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო ინსტანციაში. დავასთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს ეძლევა უფლება მიმართოს სააღსრულებო დაწესებულებას (როგორც კერძო აღმასრულებელს, ასევე ეროვნული აღსრულების ბიუროს) ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____

ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, სამი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"

თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ბორჯომი მესხეთის ქ.№5. საიდენტიფიკაციო კოდი 226161961, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, სახაზინო კოდი 300629800, ბანკის კოდი TRESGE22, ხაზინის ერთიანი ანგარიში სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი

---------- *დ. ყიფიანი*

ბ. ა.

"მიმწოდებელი"

შპს "სან მოტორსი", საიდენტიფიკაციო კოდი 424067958, ქ. ახალციხე, ასპინძის ქ. №42/6, ს.ს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ანგ.№GE46BG0000000501276000;

---------- *შ. ვარდიძე*

ბ. ა.

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____